ზაფხულში სიჭარბე, ზამთარში დეფიციტი: რა უნდა მოგვცეს ახალმა აუქციონმა?


პრიორიტეტი ჰიდრო და ქარის სადგურებს

საქართველო | ენერგეტიკა
ნოემბერი, 2026

დღევანდელი წახალისება და სისტემის საჭიროება

დღეს ყველაზე კარგი პირობები მზის სადგურებს აქვს, ქვეყანას კი ყველაზე მეტად ჰესები და ქარის სადგურები სჭირდება. ჩვენი შეფასებით, მიმდინარე CfD ტარიფით მზის სადგურების უკუგება 15.2%-ია, ქარის სადგურების 12.5%, ხოლო მოდინებაზე ჰესის კი 8.5%. ამასთან, მზის სადგურის CfD მთელი წელი მოქმედებს, ქარის სადგურის 9 თვე, ხოლო მოდინებაზე ჰესის 8 თვე. სისტემის საჭიროება თითქმის საპირისპიროა: ზამთრის დეფიციტს წყალსაცავიანი ჰესები და ქარის სადგურები ამცირებენ, მზის სადგურები კი ენერგიას ძირითადად მაშინ გამოიმუშავებს, როცა სისტემაში ისედაც სიჭარბეა. 2026 წელს ზაფხულში ენერგიის სიჭარბე პირველად გახდა შესამჩნევი, ზამთარში კი მიწოდების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ იმპორტითა და თბოსადგურებით დაიფარა.

გრაფიკი 1: იმპორტი, თბოგენერაცია, ექსპორტი და გენერაციის შეზღუდვა, 2026, გვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი


ახალი აუქციონი სეზონური დისბალანსის შემცირების შესაძლებლობაა

ჩვენი შეფასებით, აუქციონზე მიზანშეწონილია იმ ტექნოლოგიების წახალისება, რომლებიც ქვეყანას მეტად სჭირდება. წინასწარ ცნობილი წესები ინვესტორის რისკს შეამცირებს, ახალ სიმძლავრეს კი ქვეყნისთვის უფრო იაფს გახდის. ამ მიზნით მნიშვნელოვანია:

1. **ზამთრის გენერაციის წახალისება:** უპირატესობა წყალსაცავიან ჰესებსა და ქარის სადგურებს, შემდეგ მოდინებაზე ჰესებს; ამ ტექნოლოგიებისთვის CfD-ის პირობების გადახედვა; მზის სადგურების განვითარება ქსელის ლიმიტების ფარგლებში.
2. **გამჭვირვალობა:** შეზღუდვის წესების რიგითობის წინასწარ განსაზღვრა; მიმდინარე პროექტების სიისა და 10-წლიანი პროგნოზის გამოქვეყნება.
3. **მოთხოვნა და ექსპორტი:** ადგილობრივი მოხმარებისა და ექსპორტის ხელშეწყობა.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ რეკომენდირებული წესების შემუშავებამ აუქციონი არ დააყოვნოს: ძირითადი პრინციპები შეიძლება აუქციონის პირობებშივე აისახოს, დეტალური რეგულირება კი პარალელურად დაიხვეწოს.

გრაფიკი 2: ოპტიმისტური სცენარით დადგმული სიმძლავრის დამატება 2032 წლამდე, გვტ



წყარო: MOESD, ესკო, გალტ & თაგარტი

1. დღეს საუკეთესო პირობები მზის სადგურებს აქვს

CfD-ის პირობები ტექნოლოგიების მიხედვით განსხვავდება. მზის სადგურების CfD (5.6 აშშ ცენტი/კვტ.სთ) მთელი წელი მოქმედებს, ქარის სადგურების CfD (6.0 ცენტი/კვტ.სთ) წლიურად 9 თვე (აგვისტო–აპრილი), ხოლო მოდინებაზე ჰესის CfD (6.5 ცენტი/კვტ.სთ) კი წლიურად 8 თვე (სექტემბერი-აპრილი). დანარჩენ თვეებში, ეს სადგურები ელექტროენერგიას ან ადგილობრივ ბაზარზე ყიდიან, ან პირდაპირ მომხმარებლებზე ან ექსპორტზე გააქვთ - რისი ფასიც, როგორც წესი, უფრო დაბალია ვიდრე მზის CfD.

შედეგად, უკუგება ინვესტიციაზეც ტექნოლოგიების მიხედვით განსხვავდება. ჩვენი შეფასებით, ინვესტორს საკუთარ კაპიტალზე 15%-იანი უკუგება (Equity IRR) სჭირდება. მზის სადგურებისთვის არსებული CfD უზრუნველყოფს 15.2%-იან უკუგებას, მაშინ როდესაც ქარის სადგურს 12.5%-იანი უკუგება აქვს, ხოლო მოდინებაზე ჰესს კი მხოლოდ 8.5%.

შეზღუდვის რისკი ამ სხვაობას კიდევ ზრდის. გენერაციის შეზღუდვა ელექტროსადგურისთვის ნაკლებ გაყიდულ ენერგიას ნიშნავს. ყველაზე მგრძნობიარე შეზღუდვის მიმართ არის მოდინებაზე ჰესი: მაღალი შეზღუდვის სცენარში (ზაფხულის გენერაციის 50%-მდე) მისი უკუგება ინვესტიციაზე 8.5%-დან 6.0%-მდე ეცემა, ჩვენი შეფასებით.

15%-იანი უკუგებისთვის ქარსა და მოდინებაზე ჰესს 12-თვიანი CfD და უფრო მაღალი ტარიფი სჭირდება: მაღალი შეზღუდვის გათვალისწინებით ქარის სადგურებს 7.2 ცენტი/კვტ.სთ, მოდინებაზე ჰესს კი 9.8 ცენტი/კვტ.სთ (ცხრილი 1).

ცხრილი 1: გენერაციის შეზღუდვის გავლენა უკუგებასა და CfD ტარიფზე

	Equity IRR: შეზღუდვის გარეშე, %	Equity IRR: საბაზისო შეზღუდვა, %	Equity IRR: მაღალი შეზღუდვა, %	მიმდინარე CfD ტარიფი, USc/კვტ.სთ	საჭირო CfD: შეზღუდვის გარეშე	საჭირო CfD: საბაზისო შეზღუდვა	საჭირო CfD: მაღალი შეზღუდვა
მზე	15.2%	12.8%	10.4%	5.60	5.60 (0.0%)	6.11 (+9.1%)	6.70 (+19.6%)
ქარი	12.5%	11.2%	9.6%	6.00	6.20 (+3.3%)	6.63 (+10.5%)	7.15 (+19.2%)
მოდინება ზე ჰესი	8.5%	7.3%	6.0%	6.50	8.10 (+24.6%)	8.88 (+36.6%)	9.80 (+50.8%)

წყარო: გალტ & თაგარტი

შენიშვნა: მოცემულია CfD ტარიფი (აშშ ცენტი/კვტ.სთ), რომლითაც უკუგება 15%-ს აღწევს; ყველა სადგურისთვის დაშვებულია 12-თვიანი CfD. ფრჩხილებში მითითებულია ცვლილება მიმდინარე ტარიფთან შედარებით. მაის-ივნისის შეზღუდვა: საბაზისო სცენარში საშუალოდ 30%, ოპტიმისტურ სცენარში 50%-მდე

2. სისტემის საჭიროება: ზამთრის გენერაცია


სისტემას ზაფხულში ჭარბი ენერგია აქვს, ზამთარში კი დეფიციტი. 2026 წლის მაის-ივლისში სადგურებს გამომუშავება პირველად მასშტაბურად შეეზღუდათ: შეზღუდვამ 0.5 ტვტ.სთ შეადგინა, რაც, ჩვენი შეფასებით, 67 მლნ ლარამდე მიუღებელ შემოსავალს ნიშნავს. ამავე დროს, 9 თვის მიწოდების 25.8% იმპორტმა და თბოსადგურებმა დაფარა. ჩვენი შეფასებით, თუ ყველა დაგეგმილი პროექტი აშენდება, 2030 წლისთვის შეზღუდვა თითქმის ოთხჯერ გაიზრდება ოპტიმისტური სცენარით (+4.0 გვტ სიმძლავრე 2032 წლისთვის).

ტექნოლოგიები ზამთრის დეფიციტს განსხვავებულად ამცირებს. ამას ორი ფაქტორი განსაზღვრავს. პირველი სეზონურობაა. სექტემბერ-აპრილში ქარი წლიური გამომუშავების 67%-ს იძლევა, წყალსაცავიანი ჰესი 66%-ს, მზე 60%-ს, მოდინებაზე ჰესი კი 59%-ს. მეორე დღიური ცვალებადობაა:

- **წყალსაცავიანი ჰესი** ყველაზე მართვადია და სიმძლავრისა და სიხშირის რეგულირებაში ეხმარება სისტემას.
- **ქარის სადგურების** გამომუშავება საათობრივად იცვლება, თუმცა ზამთარში სტაბილურია.
- **მოდინებაზე ჰესი** დღის განმავლობაში სტაბილურად მუშაობს და სისტემას ინერციას აწვდის, მაგრამ მეტს გაზაფხულ-ზაფხულში გამოიმუშავებს.
- **მზის სადგური** მხოლოდ შუადღის საათებში მუშაობს და ყველაზე ცვალებადია, რაც ქსელს დამატებით გამოწვევებს უქმნის. დღეს მას საქართველოში ყველაზე ხელსაყრელი პირობები აქვს, თუმცა სისტემისთვის სარგებლით ბოლო ადგილზეა.

ამიტომ მიზანშეწონილია, რომ შემდგომ სიმძლავრის აუქციონზე პრიორიტეტი ამ რიგით განისაზღვროს: წყალსაცავიანი ჰესი, ქარი, მოდინებაზე ჰესი და ბოლოს მზე.


გრაფიკი 3: ელექტროსადგურების გამომუშავების სეზონური პროფილი და დღიური ცვალებადობა, % წლიურიდან



წყარო: გალტ & თაგარტი.


მზის სადგურები ენერგიას ძირითადად შუადღის საათებში გამოიმუშავებს, განსაკუთრებით გაზაფხულ-ზაფხულში, როცა ენერგია ისედაც ჭარბია. ამ საათებში სიჭარბე მთელ რეგიონშია: მზის მაღალი წილის გამო (თურქეთში 21%, ბულგარეთში 36%) შუადღის ფასი ყველგან ერთდროულად ეცემა. 2026 წლის მაის-ივლისში თურქეთში საშუალო ფასი 3.5 ცენტი იყო (წლიურად –46%), ამიტომ საქართველოდან ჭარბი ენერგიის ექსპორტიც კომერციულად არამომგებიანია. ამასთან, ოპტიმისტური სცენარით გათვალისწინებულია 1.7 გვტ მზის სადგურების მშენებლობა, მაშინ როცა ქსელს მხოლოდ 0.5 გვტ-ის მიღება შეუძლია (DigSilent-ის კვლევა, სსე-ს ათწლიანი განვითარების გეგმა, 2024). ჩვენი შეფასებით, მიზანშეწონილია, მზის 1.7 გვტ-იანი გეგმა გადაიხედოს და მასში ქსელის ლიმიტის ფარგლებში არსებული პროექტები დარჩეს.

გრაფიკი 4: მაისის ტიპური დღის მიწოდება და მოხმარება, 2030F, მგვტ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: სიმძლავრის ზრდა ოპტიმისტური სცენარით.

გრაფიკი 5: მოხმარება-მიწოდების პროფილი, 2030F, ტვტ.სთ



წყარო: MOESD, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: სიმძლავრის ზრდა ოპტიმისტური სცენარით.

3. ინვესტიციების ხელშემწყობი სხვა ღონისძიებები

დაგეგმილი სიმძლავრის გადახედვა ზაფხულის სიჭარბის რისკს შეამცირებს. ჩვენი შეფასებით, 2032 წლამდე დაგეგმილი 4.0 გვტ-დან (ოპტიმისტური სცენარი) ამჟამად 1.4 გვტ-ის პროექტები მიმდინარეობს. თუ გეგმა ამ პროექტებით შემოიფარგლება, ზაფხულის შეზღუდვა 50%-ის (მაღალი შეზღუდვის სცენარი) ნაცვლად საშუალოდ 30% იქნება (საბაზისო შეზღუდვის სცენარი), თუ ზაფხულის მოხმარება და ექსპორტი არ იქნა წახალისებული, როგორც შემდგომ გვერდზე გვაქვს განხილული. ამავე მიზნით მიზანშეწონილია, ახალი მემორანდუმების გაფორმება, მათ შორის პირდაპირი მოლაპარაკებებით, შეჩერდეს და ასეთი პროექტები ახალ აუქციონზე გავიდეს.

ინვესტორს აუქციონამდე სრული ინფორმაცია სჭირდება. შეზღუდვის წესები, ქსელის ლიმიტები, პროექტების სია და ოფიციალური 10-წლიანი პროგნოზი უმჯობესია აუქციონამდე გამოქვეყნდეს.

ქსელის განახლებული გეგმა საინვესტიციო გადაწყვეტილებისთვის მნიშვნელოვანია. ქსელის პროექტები ხშირად დაგვიანებით ხორციელდება, 2024 წლის შემდეგ კი ქსელის განვითარების 10-წლიანი გეგმა არ გამოქვეყნებულა. განახლებული გეგმიდან ინვესტორი მიერთების ვადებსა და პირობებს წინასწარ გაიგებს.

შეზღუდვის წესები წინასწარ უნდა იყოს ცნობილი. გენერაციის შეზღუდვა სადგურისთვის დაკარგული შემოსავალია, ამიტომ ინვესტორს წესების წინასწარ ცოდნა სჭირდება. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ პირველ რიგში შეზღუდვა ახალი წესებით გაფორმებულ პროექტებს შეეხოს, მოქმედი სადგურები კი რიგში ბოლოს იყვნენ. სისტემის საჭიროებიდან გამომდინარე, ჯერ მზის სადგურები შეიზღუდოს, შემდეგ პროპორციულად ქარის სადგურები და მოდინებაზე ჰესები, უკიდურეს შემთხვევაში კი წყალსაცავიანი ჰესები.

რისკებზე პასუხისმგებლობის წინასწარ განსაზღვრა პროექტების დაფინანსებას გაამარტივებს. დამფინანსებლისთვის მთავარი კითხვაა, ვინ იღებს შეზღუდვის, ქსელზე მიერთების დაგვიანებისა და ექსპორტის რისკს. თუ ეს სტანდარტულ ხელშეკრულებაში წინასწარ იქნება გაწერილი, რისკის პრემია შემცირდება და ტარიფების ზრდაც შეიზღუდება.

ზაფხულის სიჭარბისას ყველაზე ეფექტური გზა ადგილობრივი მოხმარებისა და ექსპორტის წახალისებაა. ჩვენი შეფასებით, მოხმარების წლიური 3.4%-იანი ზრდისა და 2028 წლიდან სსე-ს 200 მგვტ ბატარეის მიუხედავად, 2030 წელს წლიური გენერაციის 6-10% მაინც ჭარბი იქნება. ამიტომ ორივე მიმართულება მნიშვნელოვანია:

- **ადგილობრივი მოხმარება ყველაზე იაფი გამოსავალია.** საქართველოში ბიზნესი ელექტროენერგიაში შინამეურნეობაზე საშუალოდ 13–24%-ით მეტს იხდის, ევროკავშირში კი 37%-ით ნაკლებს. სეზონური ტარიფი ან ზაფხულში სისტემური საფასურების შემსუბუქება ბიზნესს სტიმულს მისცემს, მოხმარების ნაწილი ზაფხულში გადაიტანოს (მაგ., ფეროშენადნობები და მძიმე მრეწველობა). სადგურისთვისაც იაფად გაყიდვა შეზღუდვაზე უკეთესია.
- **ექსპორტს ამჟამად ფასი ზღუდავს.** 2026 წლის მაის-ივლისში თურქეთში საშუალო ფასი 3.5 ცენტი/კვტ.სთ იყო (წლიურად -46%), ექსპორტის სისტემური საფასური კი 1.5 ცენტი/კვტ.სთ. შესაბამისად, სიჭარბის პერიოდში ექსპორტს ხელს შეუწყობს ექსპორტიორების სისტემური საფასურებისგან გათავისუფლება.

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

ევა ბოჭორიშვილი
კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge

მარიამ ჩახვაშვილი
ენერგეტიკის კვლევების უფროსი | mchakhvashvili@lgt.ge

ანა ჯეჯელავა
წამყვანი ანალიტიკოსი | a.jejelava@gt.ge

გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0108, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111